ერთი სკოლის ფარგლებში მოსწავლის პარალელებში გადანაწილების (ე.წ. შიდა მობილობა) დროს შემაჯამებელი დავალების/ დავალების აღდგენის შეფასება

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გადადის ერთი პარალელიდან მეორე პარალელში (მათ შორის ონლაინ ჯგუფში ან პირიქით) და გადასვლამდე უკვე ჩატარებულ გაკვეთილზე, რომელზეც ჩანიშნული იყო შემაჯამებელი დავალება, დასწრებაში უფიქსირდება გაცდენა („არა“) და არ არის ჩანიშნული შემაჯამებელი დავალების აღდგენა, გასათვალისწინებელია შემდეგი:



- ✓ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) აძლევს შესაძლებლობას მოსწავლე გადავიდეს სხვა პარალელში;
- ✓ მოსწავლეს აუცილებლად უნდა მიეცეს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობა, თუმცა ელექტრონულ ჟურნალში მისთვის აღდგენილი შემაჯამებელი დავალების შეფასების ასახვა ვერ განხორციელდება შემაჯამებელი დავალების აღდგენის ფუნქციით;
- ✓ იმისათვის, რომ ელექტრონულ ჟურნალში აისახოს შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასება, მასწავლებელმა (რომელმაც ჩაატარა შემაჯამებელი დავალება), ელექტრონულ ჟურნალში უნდა მოითხოვოს ჩატარებული შემაჯამებელი დავალების კორექტირება და შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასება ასახოს ჩატარებული შემაჯამებელი დავალების გაკვეთილზე, ამასთან **არ შეცვალოს** დასწრების მაშვენებელი („არა“ არ გადააკეთოს „კით“);

საჭიროა ყველა ველის შევსება:



გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ მასზე დათანხმება:



ამის შემდეგ სკოლის დირექტორმა/უფლებამოსილმა პირმა, უნდა დაადასტუროს მოთხოვნა.



სტატუსის ცვლილებისა და მოთხოვნის დადასტურების შემდეგ, საჭიროა შესაბამისი კომენტარის დაწერა მისი შენახვა (ღილაკი- შენხვა). **ამის შემდეგ მასწავლებელმა 24 საათში უნდა დაარედაქტიროს ჟურნალი.**



დირექტორის მოთხოვნის დადასტურების შემდეგ, მასწავლებელი გახსნის ჩანიშნულ შემაჯამებელ დავალებას და ე.წ. შიდა მობილობით გადასულ მოსწავლეზე დასწრების გვერდით დაწერს შეფასებას:



- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი, რომელმაც ჩაატარა შემაჯამებელი დავალება არ ასახავს შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასებას მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გზით, მოსწავლისათვის სემესტრული შეფასების დაანგარიშების/კალკულაციის დროს აღნიშნული შემაჯამებელი დავალება გათვალისწინებული იქნება შეფასებით 0.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გადადის ერთი პარალელიდან მეორე პარალელში (მათ შორის ონლაინ ჯგუფში ან პირიქით) და სხვა პარალელში გადასვლამდე უკვე ჩატარებულ გაკვეთილზე, რომელზეც ჩანიშნული იყო შემაჯამებელი დავალება, დასწრებაში უფიქსირდება გაცდენა („არა“), ამასთან **უკვე ჩანიშნულია შემაჯამებელი დავალების აღდგენა**, გასათვალისწინებელია შემდეგი:
    - ✓ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) ზღუდავს მოსწავლის სხვა პარალელში გადაყვანის შესაძლებლობას;
    - ✓ მოსწავლის სხვა პარალელში გადაყვანისათვის უნდა შეფასდეს აღნიშნულ შემაჯამებელ დავალებაში, ან მოსწავლეს ჯერ უნდა გაუუქმდეს შემაჯამებელი დავალების აღდგენა, რაც შესაძლებელია მოთხოვნების ფუნქციით;

3. მოთხოვნის გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი პუნქტების არჩევით: კლასი> საგანი> მოთხოვნის ტიპი ,,განვლილი დროით აღდგენის წაშლა“ > თარიღი > შესაბამისი კომენტარი და გაგზავნა



4. ამის შემდეგ დირექტორმა/ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაადასტუროს მასწავლებლის მოთხოვნა. გახსნას მოთხოვნა და სტატუსის ცვლილებაში მიუთითოს ,,დადასტურებული“.





5. დადასტურებიდან 24 საათში მასწავლებელმა ელექტრონულ ჟურნალში უნდა წაშალოს შემაჯამებელი დავალების აღდგენა. კალენდარში გახსნას შემაჯამებელი დავალების აღდგენა და აირჩიოს წაშლის ღილაკი.

   გასათვალისწინებელია, რომ:

   - ✓ შემაჯამებელი დავალების აღდგენის წაშლის შემდეგ, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ყველა შეფასება წაიშლება იმ მოსწავლეებთან, რომლებთან ერთადაც აღნიშნულ მოსწავლეს ჩანიშნული ჰქონდა შემაჯამებელი დავალების აღდგენა.
   - ✓ იმ შემთხვევაში, თუ შემაჯამებელი დავალების აღდგენის თარიღი სხვადასხვაა ყველა მოსწავლესთან, შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასება სხვა მოსწავლეებთან არ წაიშლება.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მოსწავლისათვის შემაჯამებელი დავალების აღდგენა ჩანიშნული იყო ერთსა და იმავე დროს, შესაბამისად წაიშალა შემაჯამებელი დავალების შეფასება, მასწავლებელმა თავიდან უნდა ჩანიშნოს შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოსწავლეებთან (გარდა იმ მოსწავლისა, რომელმაც ისარგებლა ე.წ. შიდა მობილობით) და ასახოს მათი შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასება.



- ✓ მოსწავლისათვის ელექტრონულ ჟურნალში შემაჯამებელი დავალების აღდგენის წაშლის შემდეგ შესაძლებელია მოსწავლის სხვა პარალელში გადაყვანა;
- ✓ მოსწავლის სხვა პარალელში გადაყვანის შემდეგ, შემაჯამებელი დავალების აღდგენის შეფასების ელექტრონულ ჟურნალში ასახვისათვის საჭიროა პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება. (ახალი მოთხოვნის საფუძველზე, მოსწავლის შეფასების მოთხოვნა და „არას“ გვერდით შემაჯამებელი დავალების შეფასების ასახვა)

6. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გადადის ერთი პარალელიდან მეორე პარალელში (მათ შორის ონლაინ ჯგუფში ან პირიქით) და სხვა პარალელში გადასვლამდე უკვე ჩატარებულ გაკვეთილზე, რომელზეც ჩანიშნული იყო შემაჯამებელი დავალება, მასწავლებელს ჯერ არ აქვს ასახული შეფასება, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ✓ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool) არ ზღუდავს მოსწავლის სხვა პარალელში გადაყვანის შესაძლებლობას;
- ✓ მასწავლებელმა, რომელმაც ჩაატარა შემაჯამებელი დავალება, ელექტრონულ ჟურნალში უნდა მოითხოვოს ჩატარებული შემაჯამებელი დავალების კორექტირება და ასახოს ჩატარებული შემაჯამებელი დავალების შეფასება;
- ✓ **შეფასების ასახვის დროს გამოდის შემდეგი შეტყობინება:**



- ✓ მასწავლებელმა მოთხოვნის ფუნქციიდან უნდა შეავსოს ყველა საჭირო ველი. აირჩიოს კლასი> საგანი > ჩანიშნული შემაჯამებელი შესრულების თარიღი > მოთხოვნის ტიპში მიუთითოს ჟურნალის კორექტირება > ერთი გაკვეთილი > გაკვეთილებიდან აირჩიოს დასაკორექტირებელი შემაჯამებელი დავალების თარიღი > რედაქტირების ტიპში განმსაზღვრელი შეფასება > შეავსოს კომენტარის ველი:



გაგზავნის ღილაკის გააქტიურების შემდეგ, მასწავლებელი უნდა დაეთანხმოს მოთხოვნის გაგზავნას:



დირექტორმა /უფლებამოსილმა პირმა მოთხოვნების მოდულიდან უნდა გახსნას მასწავლებლის მოთხოვნა:



მასწავლებლის მოთხოვნის გახსნის შემდეგ, დირექტორმა/უფლებამოსილმა პირმა უნდა დაადასტუროს მასწავლებლის მოთხოვნა, შეუცვალოს სტატუსი

,,დადასტურებულით“ და ჩაწეროს შესაბამისი კომენტარი.



- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი, რომელმაც ჩაატარა შემაჯამებელი დავალება, მოსწავლის სხვა პარალელში გადასვლის შემდეგ, არ ასახავს შემაჯამებელი დავალების შეფასებას, მოსწავლისათვის სემესტრული შეფასების დაანგარიშების დროს აღნიშნული შემაჯამებელი დავალება გათვალისწინებული იქნება შეფასებით 0.

ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში მოსწავლის მობილობის (ე.წ. გარე მობილობის) დროს შემაჯამებელი დავალების/ დავალების აღდგენის შეფასება

სკოლიდან სკოლაში მოსწავლის მობილობა ხორციელდება სისტემა Eschol-ის მეშვეობით. მობილობა შეიძლება შეიზღუდოს შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

1. თუ მოსწავლეს არ აქვს შეფასება მიმდინარე სემესტრის ერთ ან მეტ შემაჯამებელ დავალებაში და **არ უფიქსირდება გაცდენა (არა)**
   - ✓ მოსწავლის მობილობის განხორციელება შესაძლებელი იქნება აღნიშნულ შემაჯამებელში ნიშნის ასახვის შემდეგ.
2. თუ მოსწავლეს ჩანიშნული აქვს შემაჯამებლის აღდგენა, რომელშიც **არ უფიქსირდება** გაცდენა (არა) ან შეფასება.
   - ✓ მოსწავლის მობილობის განხორციელება შესაძლებელი იქნება აღნიშნულ შემაჯამებელი დავალების აღდგენის ნიშნის ასახვის შემდეგ.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მობილობა ხორციელდება შემაჯამებელი დავალების აღდგენის თარიღამდე, საჭიროა წაიშალოს შემაჯამებლის აღდგენის ღონისძიება (ელ. ჟურნალის კალენდრის გვერდიდან).
   - ✓ ელექტრონული ჟურნალის კალენდრის გვერდზე საჭიროა შემაჯამებელი დავალების აღდგენის წაშლა და მისი ჩანიშვნა მობილობის განხორციელების თარიღამდე. თუ მოსწავლეს არ ჩაენიშნება აღდგენა ან არ დაესწრება მისი შეფასება აღნიშნულ შემაჯამებელ დავალებაში იქნება 0 ქულა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სემესტრული შეფასების კალკულაციაში.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უფიქსირდება გაცდენა შემაჯამებელ დავალებაზე, მაგრამ არ არის ჩანიშნული შემაჯამებელი დავალების აღდგენა, მოსწავლის მობილობა შესაძლებელია, თუმცა აღნიშნულ შემაჯამებელ დავალებაში მოსწავლის შეფასება იქნება 0 ქულა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სემესტრული შეფასების კალკულაციაში. იმისათვის, რომ უკვე გადასულ მოსწავლეს რომელიმე შემაჯამებელ დავალებაში მასწავლებელმა აუსახოს შეფასება, უნდა იხელმძღვანელოს პირველი

პუნქტით **„ერთი სკოლის ფარგლებში მოსწავლის პარალელებში გადანაწილების (ე.წ. შიდა მობილობა) დროს შემაჯამებელი დავალების/ დავალების აღდგენის შეფასება“ განსაზღვრული ინსტრუქციით**